ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.35/10/025

23 მაისი 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ: კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე: გორგასლის ქ. 115 გამგებელის დ/მ/შ– ხათუნა ბერძენიშვილის სახით, შემდგომში წოდებული "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „ბორჯომი ვოთერსი", მდებარე: ქ. ბორჯომი, თორის ქ. №39 (ვაშლიჯვარი, პეტრე სარაჯიშვილის 11), საიდენტიფიკაციო კოდი 226146872, ხელმძღვანელის – დავით ამაშუკელის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: სასმელი წყლის აპარატის დადგმის და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე (შესყიდვის კატეგორია 65100000);

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" მიაწოდოს სასმელი წყლის აპარატის დადგმა და მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების ვადად ითვლება: 2013 წლის 23 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონის გამგეობა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
- გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს გაწეული მომსახურება.
- მიიღოს და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული დისპენსერები და ბალონები მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით;
- ყოველთვიურად შეიძინოს 20 ცალი 19 ლიტრიანი ბალონი "ბაკურიანი" თითოეულ დისპენსერზე.
- წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს მიმწოდებელს დისპენსერები და ბალონები.
- წყლის ყოველი ახალი ბალონის მიწოდებისას დააბრუნოს ცარიელი 19 ლიტრიანი ბალონები (ტარა), წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხადოს თითოეული ცარიელი ბალონის (ტარა) ღირებულების – 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით.
- ინვენტარის (ბალონი, დისპენსერი) გადაცემა და დაბრუნება აღირიცხება ტარის ფურცელში, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს.
- დისპენსერის დაკარგვის ან განზრახ დაზიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს სასმელი წყლის აპარატის ღირებულება (250 დოლარის ექვივალენტი ლარებში).
- თუ მომხმარებლის მიზეზით (არასწორი ექსპლოატაციით ან შენახვით) მწყობრიდან გამოვა დისპენსერი (კორპუსი, ონკანი, ჩამრთველი ან დაბინძურდება დისპენსერის მუშა სისტემა), მაშინ დისპენსერის შეკეთების და გაწმენდის ხარჯები ეკისრება მომხმარებელს.

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- თავიდან მოითხოვოს გაწეული მომსახურების გამეორება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

– გაუწიოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
– დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს "მომხმარებელს" სათანადო ხარისხის 2(ორი) დისპენსერები და 19 ლიტრიანი ბალონები, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად გამოყენებისთვის ვარგის მდგომარეობაში.
– უზრუნველყოს დისპენსერებისა და ბალონების ტრანსპორტირება.
– სარგებლობის პერიოდში მიწოდებული დისპენსერის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ ეს არ არის გამოწვეული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, კისრულობს ვალდებულებას საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ნაკლი ან შეცვალოს ნაკლის მქონე დისპენსერი ახალი დისპენსერით.

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
– მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2500.0 (ორი ათას ხუთასი) ლარს. 200 წყლის ბალონი, ერთეულის ფასი 10 ლარი; ერთჯერადი ჭიქა 200 შეკვრა (100 ცალიანი) X 2,5 ლარი.
(ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით)

6.2 დაფინანსება მოხდება მუხლიდან: „ოფისის ხარჯი".

7. ფასები

7.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან „შემსყიდველისათვის" უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა.

8.2. ანგარიშსწორების ვადა, მომსახურების გაწევის შემდეგ 10 კალენდარულ დღეში მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: საგადასახადო ნაგარიშ ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლიბა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით;

9.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით;

9.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. ფორს–მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

ძოვლეხებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს გამგეობის აპარატის უფროსი შორენა ლომაია.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":

კრწანისის რაიონის გამგეობა,
ს/კ 204521776 გორგასლის ქ. 115
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი, ა/ა
GE95LB0125152210162700 0
ბანკის კოდი 220101480

ხათუნა ბერძენიშვილი

„მიმწოდებელი":

შპს „ბორჯომი ვოთერსი", მდებარე: ქ. ბორჯომი,
თორის ქ. №39, საიდენტიფიკაციო კოდი 226146872,
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი, ა/ა 360202009
ბანკის კოდი 220101480

ლევან ლაშუკელი